



საქართველო  
საქართველო

საქართველო მიიღება:

თბილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-  
შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეგუთოვის სახ-  
ლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ  
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება  
სხვა და სხვა ენებზე. შსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულო-  
ბრივის ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

გაზეთის ფასი:

გაზეთით თბილისში  
და გარეშე ადგილებში:  
პირთა წლისა — 7 მან. — — — 6 მან.  
წახვერის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ.  
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —  
საღამო ერთის ნუმრისა გაუზავნელათ — 3 შაური.  
„დროშა“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროშა

## საკოლონიკო და სალიბერატორო გაზეთი.

**შინაარსი.** ცნობა შავი-ზღვის გემების და  
იმერეთის დილიქანების სიარულზე. — ქეთილ-  
შობილთ მარშლისაგან განცხადება. — პოლი-  
ტიკა: სერბია. — ტელეგრაფები. — წესდება სო-  
ფლის საზოგადოებათა. — სხვა და სხვა ამბავი.

**ცნობები შავი-ზღვის გემების და  
იმერეთის დილიქანების სიარულზე.**

ჩადგან ეს დრო მოგზაურობის დროა,  
ამისთვის საჭიროდ ვრაცხავთ ვაცნობთ გე-  
მების სიარულის დრო და ადგილების ფასი:  
ჩიონზე გემები დადიან მისილამ ოკტომ-  
ბრამდის;

**შოთი დგან დადიან ორპირს:**  
სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკე-  
ვით და შაბათობით, დილის შვიდ საათზე.

**ორპირი დგან შოთს**  
ოთხშაბათობით, პარასკევობით, შაბათობით  
და კვირაობით, დილის რვა საათზე. შემო-  
დიან იმავე დღეებში შუადღის შემდეგ.

**ადგილების ფასი უსახრდოოდ**  
**შოთიდან I ადგილი. II ადგ. III ადგ.**  
ჩელადიამდის. 1 მ. 10 კ. 90 კაპ. 50 კ.  
სირიაჩუნამდის. 2 — 20 — 1 70 1 —  
მოდორამდის. . . 3 — 20 — 2 60 1 — 30  
ორპირამდის. . . 4 — — — 3 — 1 „ 75  
**ორპირიდან. I ადგილი. II ადგ. III ადგ.**  
ქოდორამდის. . . 70 კ. 50 კ. 25 კ.  
სირიაჩუნამდის. 1 მან. 50 „ 1 მან. — 50 „  
ჩალადიამდის 2 „ 20 „ 1 „ 40 „ 70 „  
შოთამდის. . . 3 „ — „ 2 „ — „ 1 მან. — „

ანატოლიის საზოგადოების გემები შოთი-  
დგან მონსტანტინოპოლს მიდიან კვირაობით  
შუადღემდის, ქოსტანტინოპოლში შედიან  
პარასკევობით, ქოსტანტინოპოლიდან უკან  
ბრუნდებიან შაბათობით და შოთში მოდიან  
ხუთშაბათობით.

ქოსტანტინოპოლიდან მარსელში გემები  
მიდიან ოთხშაბათობით: ქოსტანტინოპოლი-  
დან მარსელში სამშაბათობით და პარასკე-  
ვობით.

პირიის — ძაქასიის საზოგადოების გემები  
შოთიდან გადიან კვირაობით საღამოთი,  
მდესაში შედიან პარასკევობით, მდესიდან  
უკან ბრუნდებიან ხუთშაბათობით და შოთს  
მოდიან სამშაბათობით.

**ორპირსა და ქუთაისს შუა და ქუ-  
თაისი დგან თბილისამდის დილი-  
ქანების სიარული შემდეგ დღე-  
ებში მოხდება ხოლმე.**

**დილიქანები მიდიან:**  
**ორპირიდან ქუთაისს:**  
სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკე-  
ვობით, საღამოს 7 საათზე.

**ქუთაისიდან ორპირსა:**  
სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარ-  
სკევობით, ნაშუადღევს 1 საათზე.  
ადგილების ფასი: I ადგილისა 2 მან.,  
II ადგილისა 1 მან. 75 კაპ., იმპერიალზე 1 მან.  
ბარგი 1 ფუთზე მეტი არ მიიღება უფასოდ,  
რაც ამასვე მეტი იქნება — ფუთზე 15 კაპ.  
გამოართმევენ.

**ქუთაისიდან თბილისს.**  
კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკე-  
ვობით, ნაშუადღევს 1 საათზე.

**თბილისიდან ქუთაისს.**  
კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკე-  
ვობით, ნაშუადღევს 1 საათზე. ადგილების ფასი:  
I ადგილის 15 მან. და 53 კაპ., II ადგილისა  
7 მან. და 30 კაპ. — ბარგისთვის ერთ ფუთზე  
არას გამოართმევენ და რაც ამას მოემატება  
ფუთზე 2 მან. აიღებენ.

**თბილისის გუბერნიის კათოლიკოსობით  
წინამძღოლისაჰიარ.**

ნებთა მისის იმპერატორების  
შმაღლესობის ძაქასიის ნამესტნიკ-  
სათა 15-სა მომავალს ივლისსა იქნება ლუ-  
შეთის ქალაქსა შინა გახსნა უფლის კეთილ-  
შობილთ შეკრებილების აღმორჩევასა ზედა  
უფლის წინამძღოლისა და დეპუტატისა  
კეთილ-შობილთ სადეპუტატო სობრანიისა-  
თვის, მათის კანდიდატებითა.

მაუწყებ ამხედ უფალთ თავადთა და აზნა-  
ურთა ლუშეთის უფლისათა და ვრაცხ ვალ-  
დებულად აქედნეთ მხედველობაში კონანის  
სტატ. 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77,  
78, 80, 81, 82, 83, 84, 88, 94, 95, 96,  
101, 102, 103, 135, 138, მესამე ტომისა და  
მეთხუთმეტისა მსჯულთა უგოლოცისა და  
ისპრაიეტელის სტატ: 1959, 1961, 1965,  
1966, და 1967, აღმორჩევის სამსახურსა ზედა.

## პოლიტიკა.

**სერბია.**  
გამოცხადება სერბიის საქმეთ შე-  
სახებ. „ს. პეტერბურლის გაზეთში, (რომე-  
ლიც ფრანკო-სერბულ ენაზე გამოდის პეტერ-  
ბურში) თიბათვის 19 არის დაბეჭდილი: „სუ-  
ხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ, ვათომც  
რუსულმა გაზეთებმა წინ წამოაყენეს და ეწე-  
ოდნენ ჩერნოგორიის მთავრის კანდიდატუ-  
რას სერბიის ტახტზე. რუსულ გაზეთების უმე-  
ტესმა ნაწილმა გამოაცხადა მხოლოდ სერვი-  
ლი, რომ უცხო ქვეყნის სახელმწიფოები არ  
გაერივნენ სერბიის მთავრის ამორჩევაში, არა-  
მედ მიანდონ სერბიის ხალხსა, ვინც უნდა, ის  
ამორჩიოს. ამ ჟამთ უცხო ქვეყნის გაზე-  
თები გადაწყვეტილ ამბობენ, ან ისე გაკვირით,  
ვითამც რუსის მმართველობა ეწევა ჩერნო-  
გორის მთავრის კანდიდატურასა, მილანის  
წინააღმდეგ. ამ გვარ ხმებს დავარდევთ რა,  
ჩვენ შეგვიძლია გამოაცხადოთ გადაწყვეტი-  
თა, რომ რაკი პეტერბურგში სამწუხარო ამ-  
ბავი მოვიდა მიხელის სიკედილისა, იმპერა-  
ტორის მმართველობამ წარმოსთქვა მაშინვე  
სერვილი, რომ ნამდვილათ და შეურყეველათ  
აღსრულდეს ხალხთა შორისის ტრაქტატების  
შეკრულობა, რომელიც სერბიის ხალხს უფლე-  
ბას აძლევს მთავარი თავისის სურვილისამებრ  
აირჩიოს და უცხო ქვეყნის სახელმწიფოები  
სერბიის შინა საქმეებში არ გაერივნენ.“

**ბელგრადი, 20 ივნისს (2 ივლისს).** ზარე-  
ბის რეკამ და ზარბაზნების სროლამ შეატყუა-  
ბინა ხალხს სკუპჩინისაგან თავადი მილან  
ობრენოვიჩის IV ამორჩევა სერბიის მთავრად.  
ახალი მთავარი, ცხენოსანი მილიციის თან-  
ხლებით წავიდა დღეს ტოფინდერში, სადაც  
სკუპჩინამ დიდის ალტაცებით მიუსალამა იმას.  
მთავარმა სკუპჩინას წინაშე წარმოსთქვა სი-  
ტყუა და სხვათაშორის სთქვა, რომ თუმცა  
კმაწვილი ვარო, მაინც ყოველის ღონისძიე-  
ბით ვეცდები სერბიის ხალხის გაბედნიერე-  
ბასაო. შემდეგ იმან გაშინჯა ჯარი და ამ  
დროს ხალხი დიდ ალტაცებაში იყო სიხარუ-  
ლისაგან.

**ბელგრადი, 21 ივნისს (3 ივლისს).** დღეს  
სერბიის სკუპჩინამ დაამტკიცა მინისტრები.  
— 22 ივნისს (4 ივლისს). რეგენტობამ  
გამოაცხადა პროკლამაცია, რომ ის ხელმძღე-  
ნელათ იქონიებს მთავრის მიხეილის ჩვეულებ-  
ბასა, „კანონი არის სერბიის უმაღლესი  
ნება“, ხალხის ძალას გაჰხსნის გარემოების  
მიხედვითა, წარმატებაში შეიყვანს დაწესებავ-  
ბას, ხშირათ მოუწოდებს „სკუპჩინასა და  
ბოლოს ყოველს ღონისძიებას იხმარებს  
მშვიდობიანობის დამყარებაზე წესიერების  
შუამავლობით.“

**ბელგრადი, 23 ივნისს (5 ივლისს).** სკუპ-  
ჩინამ თავის უკანასკნელ შეკრებილებაში  
მიიღო კიდევ ეს უკანასკნელი წინადადება:  
მილანი სრულ წლოვანობამდის ყოველწელს  
ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს სკუპჩინა;  
მთავრობის პირი მიხეილისგან დანიშნულნი,  
დარჩებიან თავთავის ალაგას; ტოფინდერში  
მიხეილის სასოცრად სევეტი აღდგინოს ხა-  
ლხის ფულთ; მიხეილის განზარახვისამებრ  
სამხედრო ძალი უნდა წარმატებაში შევიდეს;  
პოლიციის მმართველობა გაუფრთხილებლო-  
ბისათვის გამოიძიება მიეცეს; ყოველი სერბი  
პასუხის მგებელია მთავრის მილანის სიკო-  
ცხლისათვის; მმართველობა მოყვრულად უნდა  
ეპყრობოდეს უცხო ქვეყნის სახელმწიფოე-  
ბსა, როგორც მთავარმა მიხეილმა დაამყარა.  
მირონის ცხება მეფედა მთავრის მილანის  
მოხდა დიდის დღესასწაულობითა, ზარბაზნის  
სროლის და ზარის კერის დროსა და დასწრე-  
ბითა მინისტრებისა, უცხო ქვეყნის ელჩებისა  
და „სკუპჩინის წევრ ბისა.

**პენა, 23 ივნისს (5 ივლისს).** ზაზეთ Presse-  
ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფმა ბელ-  
გრადიდან: „სკუპჩინამ გადასწყვიტა რომ  
შარა-გეორგიევიჩი, ნევალოვიჩი და აგრეთვე  
მთელი იმათი ჩამომავლობა შეჩინებული  
იყოსო და სერბიის მმართველობაში მონაწი-  
ლეობიდან განდევნილი იყვნენო. სკუპჩინამ  
მოითხოვა ავსტრიისაგან პეტრე შარაგეორგი-  
ევიჩი და აგრეთვე იმისი ნათესაეები, რომე-  
ლიც მთავარი მიხეილის წინააღმდეგ შეთქმუ-  
ლებაში რეულან, მაგრამ ამ თხოვნაზედ უარს  
ეტყვის ავსტრია. სკუპჩინამ გამოაცხადა, რომ  
ყველა ეს პირი მოკლებულნი არიან კანონით  
მფარველობასაო. სკუპჩინამ გადასწყვიტა  
შემოღება: სერბიაში ბეჭდვის თავისუფლებისა,  
ნატიკთ სამსჯავროსი და კონსტიტუციური

წყობილობისა, ამას შემდეგ სკუპჩინა დაიხურა.“  
**ბელგრადი, 23 ივნისს (5 ივლისს).** სკუპ-  
ჩინამ მიიღო წინადადება იმაზედ, რომ თავად  
ალექსანდრე შარა-გეორგიევიჩს სამუდამოდ  
ჩამოერთოს სერბიის ტახტზედ ასელის უფლე-  
ბა, აგრეთვე იმაზედაც დასთანხდა რომ ყო-  
ველ წლივ მოუწოდოს სკუპჩინას (ყრილო-  
ბას).  
— 24 ივნისს (6 ივლისს) დღეს სიკედილით  
დასჯილ იქმნა როტმისტრი ნენალოვიჩი,  
ალექსანდრე შარაგეორგიევიჩის სიძე.

**ბელგრადი, 23 ივლისს (5 ივლისს).** ბელგრადში  
პოტა გეაცნობებს რა დედოფლის იმპერა-  
ტრიცას წასვლას სამხედრო გართა ამბობს:  
უხალისოთ, თავისის სურვილის წინააღმდეგ  
მიემგზავნება მისი იმპერატორებითი დიდებუ-  
ლება, რომ ექიმების გადაწყვეტილება აასრუ-  
ლოს. დედოფლის ჯანის სიმართლე თუმცა  
ძალიან საშიშრო არ არის, მაგრამ საკმაოდ  
კმაყოფილებაშია ცი არ არის

**იტალიიდან მოვიდა შესაშფოთებელი ამ-  
ბები: შლორენციაში ატუსადგენ კაცებსა;  
რომში მოუმატეს მოხელენი თვალ-ყურის  
დასაქრათ წესიერებაზე (პატრული); ტრიეს  
ტთან — აჯანყება მოხდა და უწესოებისამშლე-  
ლნი დაიჭირეს.**

**პეტერბურგი 5 ივლისს.** დედოფალი იმპე-  
რატრიცა დიდის მთავრებითურთ სერგეი და  
პავლე ალექსანდრეს ძეგებით და დიდი მთავ-  
რინა მარიამ ალექსანდრეს ასულით, პარა-  
კლისის შემდეგ ინებეს წაბძანება ვარშავის  
რკინის გზით საზღვარს გარეთ, მისინგენში.  
ხელმწიფე იმპერატორმა, მემკვიდრე ცესარე-  
ვიჩმა და დედოფალმა ცესარევიჩამ გააცილეს  
მისი დიდებულება გატჩინამდის.

რუსულს აქაურს გაზეთის „ძაქასის“ ამ  
კვირის ნომრებში იყო დაბეჭდილი ტელეგრაფ-  
ით პირველი სესხის ტირაჟის ბილეთები, რა-  
მელთაც რგებიათ უპირველესი მოგება. ეს  
ტელეგრაფმა ორჯერ მოსვლია შემოსხენებულ  
გაზეთსა და ნამდვილი გამოსულა ბილეთების  
ნომრები.

პირველი სესხის ტირაჟში ივლისის პირ-  
ველს რგებიათ შემდეგ ბილეთის ნომრებს  
უპირველესი მოგებანი:

N სერიისა.	N ბილეთისა,	მოგება.
18,592	2	200,000 მანეთი.
5,492	27	75,000
2,977	16	40,000
15,758	50	25,000
11,435	11	
11,505	21	10,000
7,025	39	
70	20	
6,183	33	
9,500	35	8,000
13,690	2	
8,684	49	
15,739	23	
1,097	39	
14,308	50	
12,846	17	5,000
5,559	11	
19,744	20	
12,547	10	
13,253	24	
15,831	28	
5,687	17	1,000
18,960	18	

ტფილისის უფროსი სამმართველო აცხადებს ზუბერნატორის მიწერილობას, რომ სოფლის მიხედვით ამორჩევა მამაეალის სამის წლისათვის მოხდეს შემოდგომას და იმ დროზე გათავდეს, რომ გიორგობის პირველს ამორჩევის ფურცლები წარდგენილ იქმნას დასამტკიცებლათ.—ჩვენ ამ დროებით ესარგებლობთ, რომ დაბეჭდვით ჩვენს გაზეთში „წესდება სოფლის საზოგადოებათა“ „დროებაში“ ეს „წესდება“ არ იყო დაბეჭდილი და ეხლა უფრო იმ განზრახვითა ებეჭდეთ, რომ უპეტესი ნაწილი ჩვენს მკითხველებისა შეკავშირებულია ცხოვრებით სოფლის ხალხთან, რომელთაც შეეხება ეს „წესდება“ და ამისათვის საჭიროა იმათთვის ამ კანონების ცნობა, რომ კარგად იცოდნენ კანონისაგან გლეხთაში მინიჭებული უფლება და სიმართლე.

ეს წესდების თარგმანი მმართველობისაგან გამოცემულ რუსულ ნამდვილთან იყო ერთათ დაბეჭდილი.

ნამდვილზედ აწერია:  
„მამტკიცება“  
ნამესტნიკი ძავეკისისა,  
ლენერალ-ჰელდციხისმეტრი „მისაილ“  
ტფილისში,  
11 აპრილსა 1865 წელსა.

**წესდება**

სოფლის საზოგადოებათა, მათის სასოფლო მმართველობისა და სახელმწიფოთა და სასოფლოთა გარდასახადობის

ტფილისის გუბერნიისაში.

1. ამ წესდებით განისაზღვრება: პირველად თუ როგორ უნდა დაწესდნენ სოფლის საზოგადოებანი და იმათი სასოფლო მმართველობა ტფილისის გუბერნიისაში, და მეორედ—თუ როგორ უნდა აღსრულდნენ იმათგან სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადობი.

**ნაწილი პირველი.**

დაწყება სოფლის საზოგადოებათა და იმათის სასოფლო მმართველობისა.

**თავი პირველი.**

შედგენა სოფლის საზოგადოებათა.

2. სოფლის საზოგადოება შექმდება ქველთა ერთს სოფელში დასახლებულთა გლეხთაგან, რომლის უწყებისაც ანუ წოდებისაც უნდა იყენებდნენ იგინი: სახელმწიფონი, თუ საეკლესიონი, თუ დროებით-ვალდებულნი, ესე იგი გლეხნი ყოვლიდგან გამოსულნი და ჯერეთ კიდევ დარჩენილნი, მიწის გამო, ვალდებულებაში მებატონეებთან.

შენიშვნა. ნემცეები, რომელნიც არიან ტფილისის გუბერნიისაში დასახლებულნი საკუთარს კალონიებად და აქესთ თავიანთი საკუთარი გაწყობილობა და მმართველობა, ამ წესდებში არ შემოვლენ.

3. მკირე-ხალხიანნი ანუ მომცრო სოფლები, ეგრეთვე სოფელ გარეთ გაცალკეებით მდგომნი კომლნი, შეერთდებიან ერთს სოფლის საზოგადოებად, ანუ მიერთიან სხვათა მახლობელთა სოფლის საზოგადოებათა, ადგილობრიობის სმარჯვის მიხედვით.

შენიშვნა. შეერთება მომცრო სოფელთა და გაცალკეებულთა კომლთა ერთ სოფლის საზოგადოებად, ანუ ზედ-დართვა იმათი სხვა მახლობელთ სოფლის საზოგადოებათადმი, მიენდობა ზუბერნატორის განკარგულებას, ძავეკისის ნამესტნიკის დამტკიცებით.

4. გლეხნი, სხვა და სხვათ უწყებათადმი კუთვნილნი და ერთ სოფლის საზოგადოებაში შემოსულნი, შეადგენენ იმასში თავთავესად კერძოობითთა გლეხთ საზოგადოებათა და დაიცვენ იმავ დამოკიდებულებასა თავიანთ მთავრობათაგან, რომელშიაც არიან იგინი დღეს.

შენიშვნა. დროებით-ვალდებულნი გლეხნი, ვიდრე გაჰსწევს იმათი ვალდებულობითი დამოკიდებულება მებატონეებთან, რომელთაც მამულზედ არიან ისინი დასახლებულნი, შემოვლენ მიროვის პოსრედნიკებისა და გუბერნიის საგლეხო საქმეთ პრისუტსეის უწყებასა ქვეშე, ძალითა საკუთართა კანონთა და წესდებათა ამ გლეხთათვის გამოცემულთა.

**თავი მეორე.**

შედგენა სასოფლო მმართველობისა.

5. სასოფლო მმართველობას შეადგენენ:

- 1) სოფლის სხობი, ანუ შრილობა.
- 2) სოფლის სტარშინა, ანუ მამასხლისი, და
- 3) სოფლის საგლეხო სუდი, ანუ სასამართლო.

მამასხლისს, საკუთარს განკარგულებაში, დანიშნებიან სოფლის საზოგადოებისაგან გზირები, რაედენიც საჭიროდ აღმოსჩნდებიან. ზარდა ამისა, საზოგადოებაზედ დამოკიდებული, იყოლიოს მეველეები, მერუეები და სხვანი.

6. როდესაც სოფლის საზოგადოებას შეადგენს დიდ-ხალხიანი სოფელი ანუ რაედენი-მე მომცრო სოფლები, მაშინ აირჩევიან მამასხლისის თანა-შემწეები ანუ ნაცვლები, რაედენიც ნამდვილად საჭირონი იქმნიებიან. ნაცვლები აირჩევიან მაშინაც, როდესაც სოფლის საზოგადოება შექმდება რაოდენთამე კერძობითთა საზოგადოებათაგან (მუხლი 4), და ეს საზოგადოებანი მოინდომებენ იყოლიონ თავიანთი დახლოებულნი პირნი ნაცვლებად.

შენიშვნა. ნაცვალს შეიძლება მიენდოს ხარჯის მოკრევის მოვალეობაცა. მაგრამ ეს მოვალეობა შეიძლება მიენდოს ყველა სხვა პირსაცა, სოფლის საზოგადოების მიხედვით.

**ზანყოფა პირველი.**  
სოფლის შრილობათთვის.

7. სოფლის შრილობას შეადგენენ ყოველნი, რა სარწმუნოებისაც უნდა იყენენ, სრულ-ჰასაკოვანი გლეხნი—სახლთ-მეფუროსენი, რომელნიც ეკუთვნიან სოფლის საზოგადოებას და ირიცხებიან კამერალნის აღწერით ცალკეს კომლად, და, იმათ გარდა, ყოველნი აღმორჩეულნი სოფლისაგან მოხელენი პირნი. პრ აღეკრძალება სახლის-მეფუროსეს, როდესაც იმყოფებოდეს სხვაგან ანუ ავით, ანუ ერთობ არა შეეძლოს პირის-პირ ყრილობაში მისვლა, გაგზავნოს თავის მაგიერ ვინმე თავისის სახლობიდან.

შენიშვნა. შრილობაში არ მიიშებიან გლეხნი: პირველად—რომელნიც არიან გამოძიებისა და სამართლის ქვეშე ესრეთთა შეცოდებულთა და დანაშაულობათა გამო, რომელთათვისაც დამნაშავენი მოკლებულ-იქმნიებიან კანონით ყოველთა უფლებათა და პატივთაგან, პირის-პირ და წოდებით მათდა მითვისებულთა, და მეორედ—რომელნიც არიან მიცემულნი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გარდაწყვეტილობითა სამსჯავროთა ადგილთა.

8. პირველი ადგილი სოფლის შრილობაში დაღაცა მასში ჯეროვანის რიგისა ეკუთვნის

სოფლის მამასხლისსა. მაგრამ როდესაც განიხილებიან მამასხლისის ანგარიშები, მაშინ პირველი ადგილი სოფლის შრილობაში დაეთმობა ერთ-ერთს ნაცვალსა, სადაც ნაცვლები დაწესებულ არიან (ნახე მუხლი 6), ერთ-მანერთის თანხმობით, და თუ თანხმობა არ მოხდა—უფროსსა მათგანსა ხნით. სადაც არ იქნება არც ერთი ნაცვალი, იქ პირველს ადგილს სოფლის შრილობაში, მამასხლისის ანგარიშების განხილვის დროსა, დაიჭერს, იმავე რიგობით, ერთ-ერთი სოფლის სუდი ანუ მამასართლე (მუხლი 32).

9. სოფლის შრილობა დანიშნება, საჭიროების მიხედვით, მამასხლისისაგან, უფრო კვირაობით ანუ უქმეს დღეობით.

10. შეზღვის ანუ მკრევის ნაჩლინიკი უბრძანებს მამასხლისსა ანუ სხვა მოხელე პირსა, როდესაც საჭიროება მოითხოვს, შეპყრონ სოფელი

შენიშვნა. ნება ესე მიეცემა მიროვის პოსრედნიკსაცა იმ სოფლის საზოგადოებაში, რომელიც არის შედგენილი საკუთრივ დროებით-ვალდებულთა გლეხთაგან, ანუ რომელშიაც გლეხნი ესე შეადგენენ ნახევარზედ უმეტესს სხვათა უწყებათა გლეხთა, ესე იგი სახელმწიფოთა და საეკლესიოთა.

11. სოფლის შრილობის უწყებას ეკუთვნიან:

- 1) არჩევა სოფლის მოხელეთა პირთა, რომელნიც სოფლის შრილობით აირჩევიან;
- 2) განზორება სოფლის საზოგადოებითგან საენებელთა და ბიწიერთა გლეხთა; დროებითად გამოირიცხვა შრილობიდან გლეხთა, არა უმეტეს კი სამის წლისა;
- 3) აპკუნებისა და მზრუნველების დანიშვნა; იმათის მოქმედების შემოწმება;
- 4) გარდაწყვეტა საოჯახო გაყრათა;
- 5) განკარგულება საზოგადოებითთა ანუ სასოფლოთა მამულთა გამო, რომელნიცა ეკუთვნიან მრთელს სოფლის საზოგადოებას და იმყოფებიან საერთოს მცხოვრებთ მფლობელობაში, ესე იგი: ცარიელი ანუ საძოვარი მიწები და სხვა ამ გვარი ადგილები;
- 6) რჩევა და შუამდგომლობა სოფლის საჭიროებათა გამო, ესე იგი კეთილ-გაწყობაზე, ხელის-გამართვაზე, წიგნის-სწავლაზე და სხვანი;
- 7) თხოვნისა და საჩივრების შეტანა, სადაც ჯერ-არს, სასოფლო საქმეებისა გამო და დანიშვნა სანდო კაცთა წასვლა-მოსვლისათვის ამ საქმეებზე;
- 8) ფულის მოგროვება ერთმანერთში სასოფლოთ ხარჯთათვის;
- 9) გაწერა სახაზინოთა და სათემოთა (ზემსკისა) ხარჯთა და გარდასახადთა კერძობით საზოგადოებათა შორის, რომელნიცა შემოვლენ ერთის სოფლის საზოგადოების წრეში, ეგრეთვე გაწერა სასოფლოთა გარდასახადთა მრთელს სოფლის საზოგადოებაზედ, და დაწესება ანგარიშისა ამა ხარჯთა და გარდასახადთა გამო;
- 10) შემოწმება მოქმედებათა და განხილვა ანგარიშებისა სოფლის მოხელეთ პირთა, ეგრეთვე დანიშვნა მათდა ჯამაგირისა ანუ სხვა მისაგებელისა იმათის სამსახურისათვის;
- 11) მიღება ღონის-ძიებისა, რომ არ დარჩეს გამოუერთმეველი ხარჯი და გარდასახადი, და გამოირთვას კიდევ ისინი;
- 12) სესხება სასოფლოს პურის მალაზიებიდან პურისა, სადაც არის მალაზიები გაწყობილი, და სხვა კიდევ ყველანაირი ხელის გამართვა, და
- 13) გარდაწყვეტა ყოველისა იმა შემთხვევებისა, როდესაც, საზოგადოს ანუ საკუთარის გლეხებზედ გამოცემულის კანონებითა, გინა მმართველობის შინაგანის განკარგულებითა, მოითხოვების რაზედმე თანხმობა ანუ ნება დართვა სოფლის საზოგადოებისა.

12. სოფლის შრილობას შეეძლება მამასხლისსა და დაადგინოს გარდაწყვეტილობა მხოლოდ იმ საენებელზედ, რომელნიც არიან მოხსენებულნი წინამაეალს 11-ს მუხლში. უკეთუ შრილობამ მოახდინა სხვა და დაადგინა გარდაწყვეტილობა არა კუთვნილს მისის უწყებისადმი საგანზედ, მაშინ გარდაწყვეტილობა შეირაცხების უქმად, ხოლო პირთა იმის შემდგენთა, და თვით შრილობის თავისთავად შემკრებთა, საქმის მიხედვით: ანუ გარდასხედებთ გუბერნიის მთავრობის განკარგულებითა, ანუ მიეცევიან იგინი სამართლსა.

13. სოფლის შრილობის გარდაწყვეტილობანი მხოლოდ მაშინ შეირაცხებიან კანონიერად, როდესაც შრილობაში ყოფილნი დამსწრე მამასხლისი ანუ იმის მონაცვლე (მუხლი 8) და უტყველად ნახევარი რიცხვი სახლის-მეფუროსეთა, რომელთაცა აქეთ უფლება შრილობაში დასწრობისა, და როდესაც ამასთანავე შრილობის გარდაწყვეტილობანი შეეხებიან საგანთა იმის განსჯისადმი კუთვნილთა.

14. საქმეები სოფლის შრილობაში გარდასწრდებიან: ანუ საზოგადოს თანხმობითა, ანუ მეტის ნაწილის ხმითა.

15. თვითოს სახლის-მეფუროსეს გლეხსა შრილობაში დამსწრესა აქეს თვითო ხმა.

16. საჭიროა თანხმობა არა უმცირეს ორის მესამედის რიცხვისა ყოველთა გლეხთა, შრილობაში ხმის მქონეთა, გარდასაწყვეტელად შემდგომთა საქმეთა:

- 1) განსაზოგადებლად საზოგადოებიდან საენებელთა და ბიწიერთა გლეხთა მისადმი კუთვნილთა;
- 2) გარდასაწყვეტელად საოჯახოთა გაყრათა;
- 3) განსაგებლად სასოფლოთა მიწათა, მყოფთა სოფლის საზოგადოების საერთოს მფლობელობაში ანუ სარგებლობაში, და
- 4) შესადგენელ დნებ-ყოფლობით საზოგადოებითთა ფულის თანხათა და მოსახმარებლად ამა ფულისა.

შენიშვნა 1. გარდაწყვეტილობანი განსაზოგადებლად საენებელთა და ბიწიერთა კაცთა დროებით-ვალდებულთ გლეხთაგანთა წარსდგებიან მამასხლისისაგან, თავდაპირველად, მიროვის პოსრედნიკთან; მიროვის პოსრედნიკიცა უკეთუ დაინახავს სოფლის გარდაწყვეტილობაში განკარგულებასა დაწესებულთ კანონთადმი წინააღმდეგსა, ანუ დროებით-ვალდებულთ გლეხთა კეთილმდგომარობისათვის საენებელსა, ანუ მებატონის უფლების დამარღვეველსა, მაშინ შეაყენებს ამ გვარის გარდაწყვეტილობის აღსრულებასა და წარადგენს მას, თავისის ჰაზრით, ზუბერნიის საგლეხო საქმეთ პრისუტსტიეში.

შენიშვნა 2. საენებელნი და ბიწიერნი ერთად გლეხნი, რომელნიც სოფლის გარდაწყვეტილობით დანიშნულ იქმნიებიან განსაზოგადებლად საზოგადოებიდან, უნდა დაჰშონენ, ვიდრე დამტკიცებოდნენ ესე გარდაწყვეტილობანი დაწესებულის რიგით, მახლობელ ზედამხედველობის ქვეშე თვითვე საზოგადოებათა, და რათამაცა არა მიაყენონ-რა იმათ ვნება თავიანთ ერთ-მესოფლეთა, ჯავრის გამო, შეიძლება, თუ აღმოაჩნდა საჭიროდ, შეპყრობილ-იქმნენ ტუსად სოფლის მმართველობაში, ხოლო თუ რომ დაეტყუთ მათ განძრახვა გაქცევისა, წარიგზავნენ კიდევ, ჯეროვანის მთავრობის ნებადართვითა, მახლობელს ქალაქის საპყრობილში.

17. სხვა საქმეები გარდასწყვეტიან შრილობაში განსაჯულობითა იმ გლეხთა, რომელთაც მხარეს აღმოაჩნდნება, რიცხვით, თუნდ რომ ერთი ხმა მეტი მრთელს ნახევარზედ ყველათ დასწრეთა შრილობაში

გლესთა. ხოლო უკეთუ შრილობა გაიყო  
ორს თანასწორ ნაწილად ხმების რიცხვითა,  
მაშინ დაჰსძლევს ის მხარე, რომელთანაც თა-  
ნახმა იქნება მამასახლისი.

18. ხმები მოგროვდებიან: ანუ დაყენებით  
მთელის შრილობისა ორს ნაწილად და დათ-  
ვლით ხმათა თვითოეულს მხარეზედ მყოფთა,  
გინა სხვას რიგით, როგორც რა ჩვეულებაა  
მიღებული სოფლის მცხოვრებთა შორის.

19. სოფლის შრილობის გარდაწყვეტილო-  
ბანი საქმეთა გამო, 16-ს მუხლში მოხსენე-  
ბულთა, უნდა შეესდგენენ წერილით, თუმაკა  
ამაზედ საკუთარი რაიმე ფორმა არა დაწესდ-  
ება-რა.

20. საჩივრები სოფლის შრილობის განა-  
ჩენზედ მიიცივიან ადგილობრის შეზღვის ანუ  
მკრუფენის ნაჩივრისადმი, ვისდამიკა კუთ-  
ვნილ იქნება, წარსადგენლად მუხურნა-  
ტორთან.

შენიშვნა. საჩივრები სოფლის შრილობის  
განაჩენზედ სოფლის საზოგადოებაში, რომელსაც  
შეადგენენ საკუთრივ ანუ ნახე-  
ვარზედ მომატებით დროებით-ვალდებულ-  
ნი გლესნი, შეიტანებიან შიროვის პოსრე-  
დნიკთან, რომელიც წარუდგენს ამ საჩივ-  
რებს მუხურნის საგლეხო საქმეთ პრისტ-  
სტივის მხედველობასა.

21. მცირე-ხალხიანთა სოფელთა, აგრეთვე  
კერძოთ გლესთ საზოგადოებათა, რომელ-  
ნიც შეადგენენ სოფლის საზოგადოებასა, მი-  
ცემთ ნება, საზოგადოს შრილობის გარდა,  
შეიყრებოდნენ-ხოლომე ცალკეცა, კერძოს ანუ  
შინაურის ყრილობითა, მოსალაპარაკებლად  
იმ საგნებზედ, რომელნიც შეეხებიან საკუთ-  
რივ იმათ საზოგადოს სარგებლობას. ეს საგ-  
ნები იქნებიან:

1) საქმეები სარგებლობისა და განწილ-  
ვისა გამო მიწათა, რომელნიც იმყოფებიან  
ცალკეს იმა სოფელთა ანუ კერძობითთ  
გლესთ საზოგადოებათა სარგებლობაში;

2) შინაური თაფიანთ შორის გაწერა, რაც  
რომ იმათ შეეხებებთ სახაზინო და სათემო  
(ზემსკის) ხარჯი და გარდასახადი;

3) ბეჯითობა, რომ ეს ხარჯი და გარდასა-  
ხადი არა დაჩივს დროზედ შეუტანელი, და  
შეტანილ იქნას კიდევ ვადაზედ;

4) მირთმევა, სადაც ჯერ-არს, საჩივართა  
და თხოვნათა საქმეთა გამო, რომელნიცა შე-  
ეხებიან საკუთრივ იმა სოფელთა ანუ იმა  
კერძობითთ გლესთ საზოგადოებათა, დანი-  
შენა ამის გამო მინდობილთა კაცთა და  
მიცემა მათა რწმუნების წერილებისა;

5) საქმეები, რომელნიც საკუთარის დაწე-  
სებებით მინდობილ-არაიან ცალკეთ უწყებათ  
გლესთ საზოგადოებათადმი, და

6) წინასწარი მოლაპარაკება ისეთს საქმე-  
ებზედ, რომელნიც უნდა იყენენ განსაჯულ-  
ნი საერთოს სოფლის შრილობაში (მუხლი 11).

შენიშვნა 1. შარდა ამ მუხლში ნაჩვენებ-  
თა შემთხვევათა, დროებით-ვალდებულთ  
გლესთა შეუძლიათ მოილაპარაკონ, შინა-  
ურს შრილობაში, მოხმარებისა გამო იმ სა-  
ნახროსი და საძვრისა შინაურის და სამუ-  
შაფოს საქონლისათვის, რომლებიც აქვსთ  
საერთოდ მებატონესთან.

შენიშვნა 2. მოლაპარაკება შინაურს შრი-  
ლობაში მოხდება ისე, როგორც გლესნი  
თვითვე დაინახენ მარჯვედ, და ამის გამო  
საკუთარი რიგი არა წარუწყრებათ რა.

გ ა ნ ყ ო ფ ა მ ე ო რ ე .  
მოვალისადათვის სოფლის მამასახლისისა და  
სხვათა სოფლის მოხელეთა პირთა.

22. სოფლის მამასახლისი პასუხის-მგებე-  
ლია დაცვისათვის ერთობ რიგისა და მშვი-  
დობიანობისა სოფლის საზოგადოების სამ-  
ღვართა შინა. ამ შემთხვევაში იმის სრულს  
მორჩილებად იმყოფებიან ნაცვლები (მუხ-  
ლი 6).

23. მამასახლისის უწყებას ქვეშ შემო-  
ღენ ყოველნი, მცხოვრებნი სოფლის საზო-  
გადოების სამძღვართა შინა, პირნი ხარჯის-  
მიმცემთ წოდებისანი, აგრეთვე ვადამდგარნი  
და უფალო-დათხოვნილნი მდაბლის ხარის-  
ხის სამხედრო პირნი და იმათნი სახლობანი.

შენიშვნა. აქედგან გამოირიყებიან მხო-  
ლოდ მებატონეთთან შინა-მხლებელნი და  
სხვანი მცხოვრებნი იმათ სახლ-კარში პირ-  
ნი. უკეთუ ამ პირთაგან წარმოჰსდგა რაი-  
მე ურიგოება სოფლის საზოგადოების სამ-  
ძღვართა შინა, მაშინ მამასახლისი წარუ-  
დგენს დამნაშავეთა მებატონესა, ხოლო სა-  
სისხლოს შეცოდებულებისათვის ანუ მიმის-  
დანაშაულობისათვის წარუდგენს ზემსკის  
პოლიციას, საზოგადოს წესით.

24. მამასახლისი ვალდებულია, პოლიცი-  
ურთ საქმეთა გამო, სოფლის მმართველო-  
ბის უწყებასა შინა:

1) გამოაცხადოს, მთავრობის მოწერილო-  
ბით, კანონი და მმართველობის განკარგუ-  
ლებანი, და თვალ-ყური ექიროს, რომ არა  
განვრცელებულ იქნენ გლესთა შორის მო-  
განილი უქაზები და საცნებელი საზოგადოს  
მშვიდობიანობისათვის ხმები;

2) იზრუნოს დაცვისათვის სახლობთა ად-  
გილთა შინა რიგისა, ეგრეთვე უშიშრობისა-  
თვის პირთა და ქონებათა ავთ მოქმედებთა-  
გან, ამასთანავე უკეთუ დარღვეულ იქნარ-  
ი და უშიშროება—მიიღოს ღონისძიება მა-  
თის დაუყოვნებლივ დადგინებისათვის, ვიდრე  
მოახდენდეს პოლიცია ამაზედ განკარგულებ-  
ასა;

3) შეიპყრობდეს უბრალოდ მოხეტეთა და  
გამოქცეულთა კაცთა, ეგრეთვე გამოპარულ-  
თა სალდათთა (დენერტირთა), და წარუდგენ-  
დეს მათ მთავრობასა;

4) მოახსენებდეს მთავრობასა გლესთა გა-  
მო, რომელთაც თაფიანთ ნებით დაუტყვევი-  
თა საზოგადოება, ეგრეთვე მოახსენებდეს  
მთავრობასა, უკეთუ შეცოდებულთა ანუ ური-  
გოება რამ მოხდა საზოგადოებაში.

5) მოაშველდეს შემწეობასა დიდთა და  
უეცართა შემთხვევათა შინა, ესე იგი: დრო-  
სა ცეცხლის გაჩენისა, წყლის მოვარდნისა  
მსერელის სენისა, საქონლის ქირისა და სხვა-  
თა ამ გვართა საზოგადოებითა უბედურე-  
ბათა, და ფიცხლავ მოახსენებდეს მთავრობა-  
სა, თუ ესრეთი შემთხვევა რაიმე აღმოჰსჩნდა  
სოფლის საზოგადოებაში;

6) მიიღებდეს დაწესებულთა პოლიციის  
ღონისძიებათა ასაცილებლად ყოველ გვართა  
შეცოდებულთა და დანაშაულობათა; ხოლო  
უკეთუ მოხდარა რაიმე შეცოდებულთა—შეი-  
ნახავდეს იმის კვალსა, აღმოაჩინდეს და შეიპ-  
ყრობდეს დამნაშავეთა და წარუდგენდეს მათ,  
ჯეროვანის განკარგულებისათვის, მთავრობა-  
სა, და

7) მოიყენდეს აღსრულებადში, როდესაც  
კანონი მოითხოვდეს, სოფლის სასამართლოს  
გარდაწყვეტილობათა, ეგრეთვე საზოგადოთ  
სამსჯავროთ განაჩენთა.

შენიშვნა. მებატონის მამულის სამძღვართა  
შინა, სადაც დასახლებულ არიან დროე-  
ბით-ვალდებულნი გლესნი, სოფლის მამა-  
სახლისი აღსრულებს დაუყოვნებლივ მე-  
ბატონის მოთხოვნილებასა, რომ დაეხმა-  
როს და დაიფაროს როგორათაც თვით მე-  
ბატონე და იმისი სახლობა, ეგრეთვე ყო-  
ველნი მამულში მცხოვრებნი პირნიცა ცე-  
ცხლ-მოკიდებისაგან, თულობისაგან, ტაცი-  
ობისა, ქურდობისა და ძალადობისაგან, გა-  
რდა ამისა დაცულ ჰყოს მებატონე და ქო-  
ნება იმისი, ეგრეთვე ყოველნი იმის მამულ-  
ში მცხოვრებნი პირნი საშიშართა და უბე-  
დურთა შემთხვევათა შინა, ესე იგი დრო-  
სა ცეცხლის გაჩენისა, წყლის მოვარდნი-  
სა, მსერელის სენისა, და მიიღოს ღონის-

ძიება მოსასპობლად ამა და სხვათა მზგა-  
სთა უბედურებათა. ამისათვის, საშიშ დრო-  
ში, სოფლის მამასახლისი უნდა გამოცხად-  
დეს დასახმარებლად მოწოდებამდინაც მე-  
ბატონისაგან.

25. სოფლის მამასახლისი ვალდებულია,  
სასოფლოთა საქმეთა გამო, სოფლის  
მმართველობის უწყებასა შინა:

1) მოუწოდდეს და დაითხოვდეს სოფლის  
შრილობასა და დაიცავდეს ჯეროვანსა ყრი-  
ლობაში რიგსა;

2) წინადაუდებდეს განსახილველად შრი-  
ლობასა ყოველთა იმა საქმეთა, რომელნიც  
შეეხებიან სოფლის საზოგადოების საქირო-  
ებასა და სარგებლობასა;

3) მოიყენდეს აღსრულებადში სოფლის  
შრილობის გარდაწყვეტილობათა, აგრეთვე  
მთავრობის განკარგულებათა;

4) თვალი ექიროს როგორათაც ნაცვლებ-  
ზედ, სადაც იქნებიან ნაცვლები დაყენებულ-  
ნი, აგრეთვე ყოველთა სხვათა მოხელეთა პირ-  
თა-ზედაცა, რათამცა აღსრულებდენ იგინი  
სისწორით თაფიანთ ვალდებულებათა;

5) თვალი ექიროს, რომ იყენენ მოუშლე-  
ლად მიჯნები და მიჯნის ნიშნები მიწათა ზე-  
და, როგორათაც კუთვნილთა გლესთადმი  
საკუთრებად, ეგრეთვე მყოფთაცა იმათს სარ-  
გებლობაში;

6) თვალი ექიროს, რომ იყენენ რიგზედ  
შენახულნი იმავე მიწათა ზედა გზები, ხიდები,  
ბოგიერები, რუები, წყალში გასაყვან-გამო-  
საყვანი ნაგებები, და სხვანი;

7) თვალი ექიროს რიგზედ აღსრულებისა-  
თვის გლესთაგან ყოველთა სახაზინოთა, სა-  
თემოთა და სასოფლოთა გარდასახლდა, რო-  
გორც ფულად, ეგრეთვე ბეგროთ;

8) ასრულებდეს პირობათა და შეკ-  
რულობათა გლესთა როგორათაც ერთმანერ-  
თში, ეგრეთვე გარეშე პირთა-თანაცა, როდეს-  
საც ამ გვართ შეკრულობებთ უარს არა  
ჰყოფენ გლესნი;

9) ჰქონდეს ზედამხედველობა, რომ იყოს  
რიგი დაცული სასწავლებელთა შინა, სწე-  
ულთა და ღარიბთ მისაღებათ სახლთა და სხვა-  
თა ამ გვართა განწესებულებათა შინა, თუ  
რომ ესენი გამართულ არიან სოფლის საზო-  
გადოებისაგან თაფისის საკუთრის ხარჯით;

10) ჰქონდეს ზედამხედველობა სამიტი-  
ნობებზედ, აგრეთვე უყურებდეს, რომ სოფ-  
ლის საეკტო ადგილებში იხმარებოდნენ სწო-  
რე სასწერები და საწყობები;

11) ჰმეჯითობდეს, რომ, როდესაც მთა-  
რობამ მოითხოვოს, კამერალის სიები თაფის  
დროზედ და სისწორით შედგენილ-იქნენ და  
წარსდგენენ კიდევ ვისდამიკა ანუ სადაცა  
ჯერ-არს;

12) როდესაც გლესთ მოითხოვონ დაწე-  
სებული ბილეთები და ბაშფორთები სხვა-  
გან წასასვლელად, ანუ მოითხოვონ სრუ-  
ლიად საზოგადოებისაგან დათხოვნა, —მისცემ-  
დეს მათ ჯეროვანთა მოწმობათა, რომ ამა-  
ზედ დაბრკოლება არა არის რა;

13) განაგებდეს, რიგითა თვით საზოგადო-  
ებისაგან დაწესებულთა, სასოფლოს ქონე-  
ბათა და ფულთა; ზედამხედველობდეს იქ, სა-  
დაც დადგინებულ არიან სასოფლო პურის  
მალაზიები, რათა შენახულ იყოს მთლად სა-  
სოფლო პური, და თვით განკარგულებაცა ამ  
პურზე მოხდებოდეს სისწორით, და

14) შეინახებდეს დაზოგვით და გაფთხი-  
ლებით იმ გლესთ ქონებასა, რომელიც არის  
შეკრული ანუ ჩამორთმეული იმათგან ხარ-  
ჯისა ანუ გარდასახლისა ურიგოდ ძლივისა-  
თვის.

შენიშვნა 1. მიდრე გლესნი ყობიდან  
გამოსულნი იმყოფებიან ვალდებულებითს  
დაძოკლებულთაში მებატონესთან, რომ-  
ლისაც მამულზედ ისინი დგანან, სოფლის  
მამასახლისმა უნდა ართვას გლესთა, მება-

ტონის სასარგებლოდ, შესახებდენი განდ-  
სახადი, თანახმად მებატონის მოსახლენისა  
ბისა, რომელიც დაფუძნებულ იქნება ტფი-  
ლისის მუხურნიისათვის გამოცემულს ადგი-  
ლობითს წეს-დებაზედ, და ერთობ დაუყო-  
ვნებლივ ასრულებდეს მებატონის კანონი-  
ერთა მოთხოვნილებათა, და თუ არ აღას-  
რულა—თვით იქნება პირის-პირ პასუხის  
გამცემი.

შენიშვნა 2. სოფლის მამასახლისის შეუძ-  
ლია აძლიოს ყველა უწყებათა გლესთა,  
სოფლის საზოგადოებაში შერიცხულთა,  
არა თუ მარტო მოწმობაები მისაღებელ-  
ად ადგილობრის სახაზინო ბაშფორთებისა  
და ბილეთებისა სხვაგან წასვლისათვის (ნა-  
ხე 12 პუნქტი ამ მუხლისა), გარნა თვით  
ბაშფორთებიც და ბილეთებიც, იმ კანონე-  
ბით, რომელნიც იქნებიან საკუთრივ ამა-  
ზედ გამოცემულნი; ამის გამო, მამასახ-  
ლისთ აქვსთ ნება იყრდიდენ სახაზინოგან,  
ფულთ, ბაშფორთის ბლანკებს და ღერბი-  
ან ქალაღებს ბილეთებისათვის იმ ზომით,  
რადგენსაც შეიძლებენ და რადგენიც სა-  
ჭიროდ იქნება მოთხოვნილებისამებრ. ან-  
გარიში ამაზედ შეიძლება ზედ-დაერთვას  
სხვათა სასოფლოთ ხარჯთა ანგარიშსა.

26. სოფლის მამასახლისი მოვალეა ალა-  
სრულებდეს უარის-უყოფელად ყოველთა კა-  
ნონიერთა მოთხოვნილებათა პოლიციის მთა-  
ვრობისათა და სხვათა დაწესებულთა სასამარ-  
თლოთა ადგილთა და პირთა, იმათ უწყებათ  
საქმეთა გამო.

27. სოფლის მამასახლისსა აქვს უფლება,  
მცირეს დანაშაულობისათვის, რომელშიაც  
აღმოჰსჩნდებიან პირნი, იმის უწყებას ქვეშ  
ძალითა 23-ს მუხლისა მყოფნი, გარდახდ-  
ენიოს დამნაშავეთა ესრეთ: დანიშნოს სასო-  
ფლოს რაისამეს მუშაობაზედ არა უმეტეს  
ორის დღისა, ანუ გამოართვას ჯარიმა ვი-  
დრე ხუთს აბაზამდინ, ანუ დაატულოს  
არა უმეტეს ორისა დღისა. შმაღლისის ზო-  
მის გარდახდენიება დაწესდება სოფლის სა-  
სამართლოსაგან (ნახე მუხლი 40).

28. სოფლის მამასახლისი ვალდებულია,  
დღითა საქმეთა აღსრულების დროს, ესე იგი:  
როდესაც უნდა გარდახდენიოს ვისმეს რო-  
გორათაც პოლიციური, ეგრეთვე სოფლის  
სასამართლოსაგან ანუ შრილობისაგან დაწე-  
სებული რაიმე გარდასახადი, როდესაც უნდა  
განსჩხრიკოს გლესების სახლები და შენობა-  
ები, როდესაც უნდა შეიპყრას ანუ დაატუ-  
სალოს ვინმე, როდესაც უნდა მიიღოს ხარჯის  
მომკრეფისაგან და ახმაროს რაზედმე სასოფლო  
ფული, —უშველად დაისწროს ორი მოწამე,  
უფრო სოფლის მოხუცთაგანი. მსრეთივე  
წესი, შეძლებისამებრ, უნდა აღსრულდეს წი-  
ნამამოძიების დროსაც დანაშაულობათა და  
შეცოდებულთა გამო.

შენიშვნა. როდესაც სოფელი მცირე-ხალ-  
ხიანია, ანუ როდესაც სოფელში ჰმთებიან  
ცოტანი გლესნი, მამასახლისს შეუძლია ამ  
საგანზედ მოუწოდოს მოწმები მახლობელთ  
სოფლის საზოგადოებათაგან.

29. მამასახლისის თანა-შემწე-  
ნი ანუ ნაცვლები აღსრულებენ ყო-  
ველთა მამასახლისის ბრძანებათა და, გარდა  
ამისა, უბრძანებოთაც, მოვალენი არიან და-  
ეხმარებოდნენ მამასახლისსა ყოველთა მისთა  
მოვალეობათა აღსრულებადში. იქ, სადაცა ნა-  
ცვლები ამორჩეულ არიან მომცრო სოფელ-  
თაგან ანუ კერძობითთა გლესთ საზოგადო-  
ებათაგან, ნაცვლები დაიხმარებიან მამასახლი-  
სისაგან საქმეთა გამო ნამეტნავად იმა სო-  
ფელთა ანუ კერძობითთა საზოგადოებათა,  
რომელთაგანაც არიან ისინი ამორჩეულნი.

30. პირთ, რომელიც დანიშნება ხარჯის  
მომკრეფად, ასრულებს შემდგომთა  
მოვალეობათა:

1) მოაგროვებს მდებარეთა გლესებზედ

